ეკონომიკური კეთილდღეობის („გამართული ყოფის“) უზრუნველმყოფი ქმედებები და ეროვნული ტრადიციები

(ეთნოგრაფიული სიტყვა-თქმების და ტერმინების მიხედვით)

დავით შავიანიძე
ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
david.shavianidze@atsu.edu.ge

გიორგი ღავთაძე
პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
george.gavtadze@atsu.edu.ge

აბსტრაქტი

თანამედროვე პირობებში ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ეროვნული ტრადიციებთან და მათგან გამომდინარე ინდივიდუალური ქმედებებთან ერთად გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები: რესურსებზე წვდომა, შემოსავლების უთანასწორობა და სოციალური დაცვა, ფინანსური წიგნიერება და ასე შემდეგ.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთგანმაპირობებელი ქმედებები, ყოველთვის იყო დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობისთვის და, არამარტო, ეკონომიკურ ასპექტში. თანამშრომლობისა და რისკების გაზიარების კულტურა, ინკლუზიურობა, სამართლიანი დაბეგვრა, გენდერული თანასწორობა და სხვა, უზრუნველყოფდა არა მხოლოდ ქვეყნის ძლიერი ეკონომიკისა და ოჯახის „გამართული ყოფის“ საფუძველს (ყველა მოქალაქისთვის სარგებლის მომტანი პროდუქტიულობისა და საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობით), არამედ აყალიბებდა ეროვნულ ცნობიერებასა და ქმნიდა სახელმწიფოებრიობის საფუძველს.

იმის გასაგებად, აუმჯობესებს, თუ არა პოლიტიკა ცხოვრებას, ჩვენ უნდა გავიხედოთ „მშპ-ს მაჩვენებელს მიღმა“ და განვიხილოთ ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების უფრო ფართო სპექტრი ადამიანებისთვის. ეს, ასევე, საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა არის მნიშვნელოვანი ადამიანებისთვის და რა ამოძრავებს მათ ქცევას.

ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის ისტორიულ ჭრილში განხილვა, რაც პროცესსა და მის შედეგებზე დაკვირვების შესაძლებლობას მოგვცემს.

საჭიროა შევისწავლოთ ის ინდიკატორები, რომლებითაც ფასდებოდა ინდივიდების, ოჯახების, საზოგადოების, სახელმწიფოს და, რაც მთავარია, მომავალი თაობების კეთილდღეობა, განსაკუთრებით, ღრმა ცვლილებებისა და ტრანსფორმაციების დროს. სწორედ ეს გახდა კვლევის მიზანი წინამდებარე სტატიის ფარგლებში.

მიზნის მისაღწევად, გამოყენებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოპოვებული ეთნოგრაფიული (რწმენის ამსახველი, „სახლი-სახლობის“, „დაცვითი“, „შრომის, წარმოების ალღოიანად მართვის“, ტრაპეზობის, „უფროსის ლუკმის“ „ერთი ჯამის“ შესახებ და სხვა) მასალები, რომლებიც ასახავენ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრთა სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას, მეურნეობრიობის გაძღოლის ისტორიულ

გამოცდილებას, ეკონომიკურ თანამშრომლობას და სხვა თანამდევი, ყოფითი საკითხების დარეგულირების გამოცდილებას, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კეთილდღეობა; ეროვნული ტრადიციები; სოციალური კაპიტალი; ეთნოგრაფიული ანალიზი; ინკლუზიური განვითარება

JEL: I31; Z13; N35

DOI: 10.52244/c2025.36

შესავალი

პოსტსაბჭოთა სივრცეში განხორციელებულმა და ჯერ კიდევ მიმდინარე ცვლილებებმა ნათლად აჩვენა ეკონომიკური ადამიანის ნეოკლასიკური კონცეფციის შეზღუდვები და ნაკლოვანებები. ფართოვდება ეკონომიკური განვითარების შესწავლაში გამოყენებული მეთოდების დიაპაზონი. ვითარდება ეკონომიკური კვლევის ინსტიტუციური მიმართულება. ეკონომიკური ქცევის თავისებურებების შესწავლაში უფრო მეტად ერთვება მონათესავე მეცნიერებები. აქტიურად გამოიყენება ეკონომიკის ფილოსოფიის, ეკონომიკური ფსიქოლოგიის, სოციალური ეკონომიკის, ეკონომიკური სოციოლოგიის, ინსტიტუციური ეკონომიკის, ქცევითი ეკონომიკის მონაცემები.
დიდია ეთნოლოგიური და კულტუროლოგიური მონაცემების მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირების და/ან მისი შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირებისა და შესწავლის საქმეში. მიდგომები, როგორადაც შეიძლება მივიჩნიოთ ეთნო-კულტურული დიპლომატია, იყენებს არსებულ ტრადიციებს გლობალურ, ეროვნულ, თუ ლოკალურ დონეებზე ნდობის შესაქმნელად, ურთიერთგაგებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობისათვის; მნიშვნელოვნად ეყრდნობა კულტურული ინდუსტრიების გაძლიერებას.
განსხვავებულ კულტურულ ნორმებს სხვადასხვა სახის ბარიერების შექმნა შეუძლია.
აღნიშნული განაპირობებს საკითხის კვლევის მიზანშეწონილობასა და აქტულობას.

ძირითადი ნაწილი

ეროვნული ტრადიციები და ეკონომიკური ურთიერთობები ღრმად ურთიერთკავშირშია. ტრადიციები აყალიბებს ეკონომიკურ ქცევებს, ფასეულობებს, დამოკიდებულებებსა და ინსტიტუტებს, გავლენას ახდენს სავაჭრო ნიმუშებზე, ინვესტიციებსა და განვითარებაზე. თავის მხრივ, ეკონომიკურ ძვრებს, შეუძლიათ გარდაქმნან ტრადიციულ ნორმები და მეტიც, დაუპირისპირდნენ მათ.
სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ განგვესაზღვრა:

- ეროვნული კულტურისა და ტრადიციების როლი ადამიანის (საზოგადოების) ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებაში;
- განგვემარტა არსებობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკის ცნებებს შორის ურთიერთობის კულტურულ-ისტორიული კონტექსტი;

- შეგვესწავლა ეროვნული ტრადიციების გავლენის მექანიზმი და ინსტრუმენტები ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების პროცესზე, განვითარების ისტორიული ფორმების გათვალისწინებით.

დასახული მიზნების მისაღწევად შერჩეულ იქნა კვლევის მეთოდთა ნაკრები: დიალექტიკური, ლოგიკურ-ისტორიული, შედარებითი, კომპლექსურ-ისტორიული და სხვა.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე ეხება ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის გავლენის აღქმის გაფართოებას მართვის ფორმებისა და მეურნეობის ორგანიზება-გაძღოლის ევოლუციაზე.

შევეცადეთ განგვესაზღვრა, საბაზრო ეკონომიკის დღევანდელი მოდელის ფორმირება რამდენად ითვალისწინებს ეროვნულ-ტრადიციული და კულტურული ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას, ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე ფორმების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ჰეტეროგენიზაციის პროცესში.

ტერმინის, ჰეტეროგენიზაცია გამოყენებით ვეცადეთ ხაზი გაგვესვა, რამდენად შეიცვალა ადამიანის ყოფა და ცნობიერება საუკუნეთა მანძილზე და, განსაკუთრებით, გლობალიზციის პროცესში; რომ ერთი და იგივე ქვეყნისათვის შეიძლება ვისაუბროთ ჰეტეროგენულობისა და ჰომოგენურობის პრობლემაზე. ტერმინს გამოვიყენებiთ იმის აღსაწერად, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს კულტურათა ურთიერთქმედებას და გავრცელებას. შედეგად კი ვღებულობთ მულტიკულტურულ საზოგადოებას, სადაც გაძლიერებულია მრავალფეროვნება. საზოგადოების ნაწილსა და რეგიონებში (მაგ. ქალაქები, ტურისტული ცენტრები) ეს პროცესი ღრმად ფესვგადგმულია; სასოფლო დასახლებებში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში დასტურდება პირიქითა პროცესებიც.

საჭიროა გლობალიზაციის პირობებში მიმდინარე პროცესებთან ეროვნულ-ტრადიციული მეურნეობრიობის ისეთი თანაარსებობა, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ამ უკანასკნელის თვითმყოფადობა და არა დაკარგვა, გაქრობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განვახორციელეთ კვლევა შერჩეულ პრობლემასთან დაკავშირებით; ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით გავაანალიზეთ ჩვენი, წყარო ეთნოგრაფიული მასალებით მოწოდებული, მეურნეობისა და ოჯახის ეკონომიკური მართვის ფორმებთან დაკავშირებული ცოდნა-დამოკიდებულებების შენარჩუნება-განვითარების შესაძლებლობები.

ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი და კვლევა

საცხოვრისის მკვიდრი „**ოჯახ-სახლობის**“ კეთილდღეობის შექმნის ტრადიციული, რწმენით მართული საშუალებების, ქმედება-მახასიათებლების შესახებ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების ეთნო-ეკონომიკური თვალსაზრისით კვლევით ირკვევა: **ა**). „**სახლობისაგან**“ ერთობით დოვლათის შექმნის და მისი განაწილების, „შეძლებული, სამტერ-მოყვრო თავგასართმევი ყოფის“ შესახებ; **ბ**). „**სახლ-სახლობის**“ მიერ „შრომის, ალღოიანად მართვით“, „დაცვითი“(/„თავგასართმევი აუცილებელი ქონების შექმნა-ქონა“) მნიშვნელობის შესახებ; **გ**). მეუღლეობით, მიწის საკრალიით, ტოპონ-ტერმინთა შინაარს-ფუნქციით ახსნილი, ადამიანისგან ბუნებრივი რესურსების მართვის, მათი გამოყენების თანადროული, ეკონომიკური კეთილდღეობის(/„**გამართული ყოფა**“) უზრუნველმყოფი ქმედებების, ტრადიციების შესახებ.

საქართველოს სხვადასხვა მხარეში გავრცელებული ყველა ტიპის სახლი დარბაზული ტიპის მსგავსად ადამიანურ შესაძლებლობებთან, სრულყოფილებასთან მიახლოებული, ბუნებისა და კულტურის შერწყმის, ერთობის ადგილია; ყველა ტიპის საცხოვრისში დასტურდება უნივერსალიზმი (ნადირაძე, ე., ლეჟავა, ს., 2019, თაყაიშვილი, ე. 1909, სურგულაძე, ირ. 2003) და მისი განმაპირობებელი, იდენტობის შესაბამისი, კულტურული ტრადიციები, სამეურნეო ბუნება და ეკონომიკური ყოფის მოცემულობა-განმაპირობებლები.

ირკვევა „წინაპრების კულტით ჩენილი“ სახლის მკვიდრი „**სახლობა**“[1]-„**სახლიკაცობის**“ (/ოჯახის, ან გვარის მამაკაცი, ძმა, ბიძაშვილი, მოგვარე) ერთობლივი საოჯახო ცხოვრებით, მეურნეობით, ზოგადად შრომის გამოცდილებით დაკმაყოფილებული კანონზომიერი, ანგარიშგასაწევი მახასიათებლები: **ა**). საოჯახო ეკონომიკის განვითარების შესახებ, საჭიროებები; **ბ**). როგორ შეძლო ადამიანმა მოთხოვნილებათა დიდი ნაწილის დაკმაყოფილება, საყოველდღეო და არა მხოლოდ, მარაგის დაგროვება.

ეთნოგრაფიული მასალა:

„სახლის მკვიდრი „**სახლობა**“-„**სახლიკაცობის**“ ხელჩაჭიდებული ერთობა ქმნიდა დოვლათს“[2] „გაღონიერებულ ყოფას“.

ტრადიციული წესებით, გენდერული დისკრიმინაციის გარეშე, დანაწილების საფუძველზე მშრომელი ქართველთა სოციუმის საქმიანობით მიღებულ შედეგს, შესაბამისი ხარისხის მატერიალური ოდენობა ახასიათებდა.

„სახლიშვილობის“ ერთობის მსგავსად დოვლათიანობით ღონიანობის საფუძველს „**უღლობა**“ (საბასთან „უღელი“ „ხართა ქედსადებია“. ქმკელ, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=4366) და „**მეფეხურობა**“ იძლევა.

„**ოჯახობის**“ მიერ ყოფისთვის საჭირო „წლიური სარჩო“ შრომის სწორი და ქართულბუნებითი მეუღლეობის შესაბამისი, გენდერული განაწილების წესით მიიღწეოდა.

ეთნოგრაფიული მასალები:

„უღლობა „შენ-ჩემობა“ არაა. ცალ-ცალკე მხარეს მიმავალი ცოლი და ქმარი ვერ გააღონიერებს სახლობას. სახლსაც წააქცევენ“ (ბაღდათი. სოფელი საკრაულა).

„ქალი და მამაკაცი მეუღლეების ერთობლივი შრომა ოჯახობას ფეხზე დააყენებს. სახლობაში არ იყო „ჩემი საქმე არაა“. ოჯახის სპირტი, ქალი, შექმნილის გამნაწილებელია, თავის შესაძლებლობით შემქმნელიც იყო. მეუღლეები შეხვედრას შობიან საოჯახო საქმისას. მეუღლე რომ ხარ ქალი, გინდა კაცი, გული/სიყვარული, გონება/პატივისცემა და ნდობა, სხეული მუშაობს“ (ჩოხატაური. სოფელი დაბლაციხე).

---

[1] „სახლობა“ ოჯახი, მოსახლეა, ოჯახის წევრებს, „ჯალაბობას“ აღნიშნავს (განმარტებითი ლექსიკონი https://www.ena.ge/explanatory-online).

[2] **შედარებისთვის**., „დოვლათი“, ქონება, ნადავლი, ნაალაფარი, ომში ნაშოვარია, სიკეთე სიმდიდრე, სიუხვე, ბარაქაა (ქკთსკ http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=56&t=67157); დოვლათიანობა, დოვლათის მქონეობა, შეძლებულობა, ქონებიანობაა (ქეგლ https://www.ena.ge/explanatory-onl%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98ine); „ღონე“, ცოცხალი ორგანიზმის ფიზიკური ქმედების უნარი, ენერგია, შესაძლებლობაა (ქკთსკ http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=56&id_srch=11b0417672e4541f900e605f0fb7ee6b&il=en&p=1), მოხერხებაცაა იმერეულში, იმერულის ოკრიბულ თქმაში.

„რძალი შვილივით უნდა გყვარებოდა და არ გეიქაჩება ცალკე. ცალკეობით ქონს ვერ მეიდეფ, იქნები გატყაული“ (აჭარა, სოფელი აჭყვისთავი).

„მიწასთან საქმეში და საქონელში, სამძიმო, კარში საკეთებელი საქმეში მამაკაცი იყო. არ შეეშლებოდა ვინმეს, შეხედავნენ სქესსა და ასაკს“ (ლეჩხუმი. ზუბი).

სახლობის(/„სახლი“), ეკონომიკურ კეთილდღეობის უზრუნველყოფის გზაზე საოჯახო-საზოგადო შრომის თანმდევი იყო ტრადიციული, რიტუალდართული წესები.

საუკეთესო მაგალითია „მეფეხურობის“ ქართული ინსტიტუტი, რომელიც გათვლილი იყო მეფეხურისაგან რწმენის გაძლიერებაზე.

ეთნოგრაფიული მასალა:

„რწმენა ძალაა, სურვილია გაძლიერების. კაიაო და აკეთებ. ხელშეწეულობა გცილდება. ფიქრია, რომ კაიფეხიანი მეკვლე, ირჩევენ ამფერს, ოჯახში აყენებს სიკეთეს, საოჯახო წევრთა წარმატებებს, გამრავლება-ქონიანობას (იმერეთი. ვანი. ძულუხი).

სამეცნიერო კვლევებში აღნიშნულია და ჩვენც ვწერდით, რომ საქართველოში ახალი წლის დღესასწაულის მთავარი რიტუალია საახალწლო საჩუქრებით დატვირთული მეკვლის, იმ პირის სახლში შემოსვლა საჩუქრებითა (ძირითადად ტკბილეულ-ხაზი ჩვენია) და ლოცვით: „შემოვდგი ფეხი, გწყალობეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“! (ფუტკარაძე, ტ., შავიანიძე, დ. „ქართველური მემკვიდრეობა“ XV. 2011. 247-267).

მსგავს მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „**გალოცვის**“ წარმართული რიტუალი. ახალწელიწად დილას (კალანდას) სახლის უფროსი ხონჩაზე დაწყობილი შემწვარი და ცივად მოხარშული ქათმით, ღორის თავითა და სხვა საჭმელებით, სახლის კარს გარედან მიადგებოდა, კარს შიგნიდან ცოლი იდგა. ქმარი დააბრახუნებდა და დაიძახებდა: „კარი გამიღეთ!“ ცოლი შეეკითხებოდა: „რა მოგაქვს?“ ქმარი სხვადასხვა ვარიანტით მიუგებდა, რომ მოჰქონდა წმინდა ბასილის ლოცვა-კურთხევა, ცისა და ქვეყნის სიკეთე, ამა და ამ გამოჩენილი კაცების რაიმე თვისება და სიმდიდრე და სხვ. ეს დიალოგი სამჯერ მეორდებოდა. შემდეგ ქმარი შინ შევიდოდა, ხონჩას დადგამდა შუა ოთახში, მთელი სახლობა შემოეხვეოდა გარს და შეილოცავდნენ, რომ ახალი წელიწადი ყველა მათგანისათვის ბედნიერი და ნაყოფიერი ყოფილიყო; მერმე მთელი სახლობა დაივლიდა კარ-მიდამოს ბოსელს, საქათმეს...“ (ქართულ კილო-თქმათა ლრქსიკონი, 1974).

ცნობილია, რომ შეკრებილობის დროს ადამიანთა ცნობიერი პიროვნება ქრება, აქვს ცხადად განსაზღვრული მახასიათებლები, თუმცა კოლექტიური ფსიქიკაც დროებითი ხასიათისაა (გუსტავ ლე ბონი https://medialiteracy.ge/uploads/resources/105873864a4db33.pdf).

ეთნოგრაფიული მასალა:

„სკოლიდან გვიყვანდენ ბავშვებს სამუშაოდ ყანაში, ჩაში. საქმეც დონეზე იყო, მარა ის ბაღანა სწავლობდა, ხვდებოდა რომ შრომით შექმნიდი ცხოვრებას“ (ჩოხატაური. სოფ. ბუკისციხე).

საოჯახო-სამეურნეო საქმიანობის სწორად წარმართვის საქმე კი, სახლობა-სახლის **გამართულად ფეხზე დგომა**(/ეკონომიკურად ძლიერება) ტრადიციულად დამოკიდებული იყო არა დროებით ერთობლივ, შეთანხმებულ შრომაზე, „**მოწყობილ ფსიქიკაზე**“.

მოთხოვნილების დაკმაყოფილებით ამოქმედებულ სუბიექტზე გარემო იწყებს ზემოქმედებას, ცვლის სიტუაციის შესაფერისად, იწვევს რა მასში გარკვეული ქცევის განწყობას (უზნაძე დ. 1949).

ეთნოგრაფიული მასალა

„ერკეთელ თედორაძნებს შეკრება და სიმღერა ცოდნიათ შიმშილის დროს, სულს გავიღონიერებთო. სხვები დაცინოდნენ, „გამაძღარან და იმიტომ მღერიანო“ (ჩოხატაური. ერკეთი. 2025).

მსგავსი მაგალითები დაგვიდასტურებია საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

სხვადასხვა სამუშაოების დროს „ნადში“ მყოფნიც, მეზობელ-ნათესავები, ახლობლები „თავს იმხნევებდნენ, უკეთესის შესაქმნელი შრომის ძალას იმატებდნენ „ნადურის“ სიმღერით.

კომპლექსური და მრავალფუნქციური **სუფრობის** ინსტიტუცია მოგვითხრობს სოციო-კულტურულ ფენომენის, ქცევის, წეს-ჩვეულებების შესახებ; ირკვევა ეთნო-ეკონომიკური თვალსაზრისით საინტერესო ეთნიკური თავისებურების სინამდვილე.

ადამიანების, ურთიერთპატივისცემით, „უკეთესად ცხოვრების უზრუნველმყოფელი ერთობის განმტკიცებისთვის ზრუნვას“ ემსახურებოდა **უფროსის ლუკმის** დატოვების წესიც.

ეთნოგრაფიული მასალები:

„სუფრობა ერთობის ხალისია, თუ ფიქრობ. გეგმიანი **წყობის**(/ქმედება), მტერ-მოყვრის გაძღოლის საშუალებაა. ფინთი თუ ხარ ძალა მარტო არ გეკმარება. ცოდნაა საჭირო რა რაფერ აკეთო“ (ლენტეხი. ჩიხარეში).

„ლუკმის“ შენახვის ცოდნა სწავლება იყო ცოდნის, რომ, თუ არ შრომობ, ვერ ხარ მადლიანი, ვერაფერს შექმნი (საჩხერე. კორბოული).

„უფროსის ლუკმის შენახვა შემდეგი სადილ-ვახშმისთვის, მხოლოდ მისი პატიცემა არაა. არც ისაა, რომ შენ არავინ რაიმეს გეკითხება. სწავლება იყო პატივისცემის. ეს თვისება ერთობის წევრად გაქცევდა. ისწავლიდი შენც, მერე უკვე უფროსი, სხვათა მოსმენას, საოჯახო საქმის სწორად განაწილებას (რაჭა. გლოლა. 2024)[3].

ქართული სუფრის დროის მიხედვით ცვალებად მახასიათებლებზე თვალის დევნებამ გამოააშკარავა საზოგადოებრივ-სოციალურ ურთიერთობებზე ნებითი, თუ უნებლე გავლენები, ინდივიდუალური შემოსავლების შესახებ; რომ მისი ჭარბად ქონის სურვილმა ბევრ ქართულ ტრადიციულ წესთან ერთად შეცვალა ტრაპეზობის, „უფროსის ლუკმის“ ქონის წესიც.

ეთნიკურ-ყოფითობის აწმყოში შეცვლის სინამდვილე ირკვევა „**შუა ღვინის**“/„**სახარჯო ღვინის**“ შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალების კვლევით.

კვლევა საინტერესოა არა მხოლოდ მეცნიერული, პრაქტიკული თვალსაზრისით, არამედ სხვადასხვა ისტორიული მონაკვეთში არსებული სინამდვილის ჭეშმარიტად აღსაქმელად.

ეთნოგრაფიული მასალები:

„**შუა ღვინო** (/წყალგარეული ღვინო) დალოცვის საშუალება იყო. თან არ დათრობოდი. ილოცავდი და მიწას არ შორდებოდი, გქონდა მასზე დგომის უფლება. თან სახლშიც გენახება „**მართალი ღვინო**“ შენთან სტუმრად მოსულიზა“ (იმერეთი. სოფ. ჭოლევი).

„შუა ღვინის“ შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალებით შემონახულმა სინამდვილემ მიგვიყვანა იმის აღიარებამდე, რომ სიღარიბე და მასთან დაკავშირებული სოციალური საკითხები

---

[3] **ლუკმა** (ლუკმისა) 1. საჭმლის მცირე ნაწილი, რასაც ერთ ჯერზე ჩაიდებენ პირში. გადატ. საზრდო, საკვები (ადამიანისა); **ლუკმა-პურ**-ი იგივეა, რაც ლუკმა (ქეგლhttps://www.ena.ge/explanatory-online); ნატეხი, ნაჭერი, ულუფაა აბულაძე ილია. „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“. გამომცემლობა „მეცნიერება“; თბილისი, 1973. (ძველი ქართული ენის ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=57&t=14472).

ყოველთვის აქტუალური იყო, თუმცა, საოჯახო თემი ალტერნატიულ რესურსად, სტიმულირების ფორმად ყოველთვის იმარჯვებდა რწმენას, წინაპართა გამოცდილებას.
აღნიშნულის მაგალითია, მიწის, როგორც შემქმნელის და ქალური საწყისის შინაარსის ცოდნა.
ცნობილია, რომ ქალური საწყისი მიწა სამყაროს სექმნის ერთ-ერთი პირველელემენტია. მითოლოგიურ ტრადიციაში არსებობს გადმოცემა მიწისა და ცის წმინდა ქორწინებაზე. მიცვალებულის მიწისთვის მიბარებაც დაკავშირებული უნდა იყოს მიწის საკრალურ სიწმინდესთან (http://phobos-phobos.blogspot.com/2020/08/blog-post_34.html).

ეთნოგრაფიული მასალა:

„გამჩენენელ-მარჩენალ მიწასთან კავშირი თუ არ იგრძენი არ გიწყალობს. არ მიგიღებს. ქალს, ახალ სიცოცხლეს როცა ბადობდა, მიწაზე ამშობიარებდენ სახელდახელო, სამშობიარო სახლებში, თივადაგებულ მიწაზე, გადაარჩენსო მიწა ქალსაც და ბაღანასაც, „კაზახი“ იქნებოდა, თუ ქალი. ადრე საქონელთან ერთად რომ ცხოვრობდენ, ალბათ იმიზა იტყოდენ ბაგაზე ამშობიარებენო“ (გურია. ხევი).
იგივეს გეუბნებიან დასავლეთ საქართველოს ყველა თემში, სოფელში.
ცნობილია ეკონომიკურად აზროვნების, შესაბამისი ცხოვრების წესის ქონის შესახებ (ლომსაძე, მ. 2006, ოსაძე, თ. 2025).

ეთნოგრაფიული მასალები:

„თვალისაგან დასაცავი იყო „**პაპაჯვარა**“[4]. ხის ჯვარია „პაპაჯვარა“. ბევრი მოსავალი მოვაო დაარჭობდნენ ნათესში. სიმინდის ნათესები რო ქონდენ, თვალი არ ეცესო და სათვალო ადგილას დაასობდენ იმას. პაპისგან გადმონაცემი ამბავია. იცოდენ, ახლა აღარ არის, გადავარდა მაი ჩვევა მუშაობის წესთან ერთად. ვიღას უნდა მიწაზე დგომა, მისი რამე. სურვილი დაგვრჩა ქონის, შრომის არა. იოლს ეძებს ყველა (ჩოხატაური. გუთური).

ქართველისგან, შეძლებისდაგვარად უკეთესად ყოფნის კვლევის საშუალებას იძლევა ტოპონიმები და ტერმინები. შეიძლება იკვლიო კულტურულ-რწმენითი, რელიგიური განვითარებულობის, იმის შესახებ, რამდენად მომდინარეობს ეთნოსის თუ არა, ეთნოსის ნაწილის მოქმედების სპეციფიკა ობიექტურიდან და როგორ უკავშირდება მოქმედება აწმყო-მომავალს.

ეთნოგრაფიული მასალები:

„**მამულები** - ადგილია სოფელ ინტაბუეთში: „სავენახე ადგილი იყო **მჟავანაძნების** და **ბურჭულაძნების**. დღეს ეს გვარები აღარაა. მეურნეობა დღეს აღარაა საჭირო, არც ვენახი. მივატიებ სოფელს, წავალ ქალაქში, ან უცხოეთში და მიწას თავს არ მივაკლავ. დასალევსაც ვიყიდი და დაილოცებიო. სადაც კარგად ვიქნები ის იქნება ჩემი მამულიო. დღეს ამფერი შევქენით, სხვაგან შრომა, შემოსავალიც დიდი რო არ იყოს მეტი მაინც. შენსას ატიებ ოჯახს, სოფელს. სხვა ეპოტინება მერე შენ ქვეყანაში“ (ჩოხატაური. სოფელი ინტაბუეთი).

---

[4] **პაპაჯვარ**-ი (პაპაჯვრისა), **პაპიჯვარ**-ი (პაპიჯვრისა), **პაპაჯვარა** (პაპაჯვარასი) კუთხური (იმერ. გურ.) ხის ჯვარი, რომელსაც ასობდნენ ყანაში ან ეზოში ვითომდა ავი თვალისაგან დასაცავად. «**პაპაჯვარი**» ანუ იარაღი, მფარველი იმ ოჯახისა, სადაც იგი დასმულია (განმარტებითი ლექსიკონი, https://ena.ge/explanatory-online).

პაპაჯვარი, ხის ჯვარი, რომელსაც ელიობის წინა ღამეს ასობენ ეზოსა და ყანაში ეშმაკისაგან თავის დასაფარავად, თანვე მღერიან (სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=55&t=2435).

კვანცხოულა - „სათესი ადგილის სახელი სოფელ ინტაბუეთში. მაღალი ადგილი იყო და მიზა ქვიოდა. სათესური სახლის გარეთაც ქონდენ ადრე და ვიყავით უფრო სავსე. ერთად ვიყავით წევრი და გასული სახლობა და არ გვეშინოდა, გვქონდა ნაშრომი“ (ჩოხატაური. სოფელი ნტაბუეთი).

სამარაგო - „საზამთროდ მომზადებული სანოვაგე გჭირდება. „სამარაგი“ ნივთიერება მეტია ძველმთვარეობაზე მცენარეულში და მაცადინობდა თელი სახლი გამზადებაზე, ამ თვარეზე, ზამთრის თავგასატანის. თავგასატანი გქონდა და არ გეეშინოდა. ყველა ოჯახეფში ბზნიდენ მთვარეს. იცოდენ ეს ყველა რასაც გეუბნები, ჯეროდენ“ (ჩოხატაური. ინტაბუეთი).

ზოგადი დასკვნები

შესწავლილი ეთნოგრაფიული მასალის გაანალიზება, გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნები:

ეროვნული ტრადიციები, ეკონომიკურ ურთიერთობებზე ზემოქმედებენ შემდეგნაირად:

- **ეკონომიკური ქცევა და გადაწყვეტილების მიღება**: საერთო კულტურული შეხედულებები და ღირებულებები გავლენას ახდენს ინდივიდუალურ და ჯგუფურ გადაწყვეტილებების მიღებაზე ეკონომიკურ საქმიანობაში, ქმნის განსხვავებულ ნიმუშებს იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ ქვეყნები აქტივებს და აწარმოებენ ბიზნესს;
- **სავაჭრო ბარიერები და ხელშეწყობა**: მნიშვნელოვან კულტურულ ხარვეზებს, რომლებიც აღინიშნება ენის, ღირებულებებისა და ბიზნეს ნორმების განსხვავებებით, შეუძლია ხელი შეუშალოს სავაჭრო ურთიერთობებს და გაზარდოს ხარჯები. თუმცა, კულტურული გაცვლის პროგრამებს და კულტურულ დიპლომატიას, ერთობლივ პროექტებს შეუძლია გააძლიეროს გაგება და ხელი შეუწყოს თანამშრომლობას;
- **ინსტიტუციური დიზაინი**: ეროვნული ტრადიციები გავლენას ახდენს ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარებასა და ფუნქციონირებაზე. მაგალითად, ნდობასთან და კორუფციასთან დაკავშირებული კულტურული ღირებულებები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და როგორ მიიღწევა ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა;
- **ფინანსური სისტემები**: კულტურულ ფაქტორებს, როგორიცაა ინდივიდუალიზმი, შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის მიერ გაცვლითი კურსის რეჟიმის არჩევანზე, სადაც უფრო ინდივიდუალისტური საზოგადოებები უპირატესობას ანიჭებენ თავისუფლად მცურავ კურსებს.
- აღსანიშნავია, რომ ადგილი აქვს უკუ-პროცესსაც, როდესაც ეკონომიკური ურთიერთობები ზემოქმედებს ეროვნულ ტრადიციებზე:
- **ტრადიციების შენარჩუნება და პოპულარიზაცია**: ტრადიციული კულტურის თანამედროვე ეკონომიკაში ინტეგრირებას, მაგალითად, კულტურული ტურიზმისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების მეშვეობით, შეუძლია დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა, შექმნას სამუშაო ადგილები და შექმნას ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები და სხვა წყაროების მიხედვით.
- **კულტურული გაცვლა და დიპლომატია**: კულტურული დიპლომატია იყენებს ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურულ აქტივებს ქვეყნის გლობალური პოზიციის გასაუმჯობესებლად, ხელსაყრელი ეკონომიკური ჩართულობის ხელშესაწყობად და კულტურული მრავალფეროვნების ხელშესაწყობად, გლობალიზებულ ეპოქაში.
- **ეკონომიკური სისტემების ცვლილება**: ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემების მიღება, რა თქმა უნდა, იწვევს ტრადიციულ-კულტურულ ცვლილებებს, რადგან ტრადიციული

პრაქტიკა ახალ ეკონომიკურ სტიმულებსა და გავლენას განიცდის. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან არსებული მხარდაჭერის მექანიზმების არსებობა და მათი განვითარება, გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი ხდება.

რეკომენდაციები

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ეროვნული ტრადიციებისა და გლობალიზაციის ტენდენციების ურთიერთზეგავლენის დაბალანსების, განვითარების დინამიურობის თვალსაზრისით საჭიროა:

- **კულტურული დიპლომატია**: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის კულტურული დიპლომატიის გლობალური პლატფორმა, თავისი პროგრამების მეშვეობით, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანამშრომლობასა და დიალოგს სხვადასხვა ეროვნულ ტრადიციებს, კულტურულ თავისებურებებსა და განვითარების მიმდინარე გამოწვევებს შორის;
- **„რბილი ძალა“**. კულტურული დიპლომატია „რბილი ძალის“ განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც აძლიერებს ერის მიმზიდველობას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკური თანამშრომლობისთვის იძულების გამოყენების ნაცვლად.
- **ტრადიციულ-კულტურული ხარვეზების აღმოფხვრა**: ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები, საერთაშორისო სავაჭრო გამოფენები და კულტურული გაცვლის პროგრამები, ხელს უწყობს ტრადიციული და კულტურული განსხვავებების საერთაშორისო ვაჭრობაზე ზემოქმედების მინიმიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბზიანიძე ზ. ელაშვილი ქ. (2011),სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., „ბაკმი“, 2011

აბულაძე ი. (1973), ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., „მეცნიერება“, 2008

ბერიძე ვ. (1912), სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა; Беридзе В. Грузинскій (картскій) глоссарій. С.-Петербургъ, 1912

გუსტავ ლე ბონი, ბრბოს ძირითადი მახასიათებლები და მისი მენტალური ერთობის ფსიქოლოგიური კანონი, https://akti.ge/2024/12/14/

თუმანიშვილი დ. (1909), ქართული „დარბაზის და სატაძრო ხუროთმოძღვრების ისტორიისთვის”. საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909. გვ. 25-34

ლეჟავა ს. (2019), დარბაზის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის ცდა. საქართველოს სიძველენი. თბ., 2019

ლომსაძე-კუჭავა მ. (2006), საბაზრო ეკონომიკა. თბ., „სტუ გამომცემლობა“, 2006

ნადირაძე ე. (2019), „ქართული დარბაზულ ერდოგვირგინიანი სახლი“. საქართველოს სიძველენი. თბ., 2019

ოსაძე თ. (2025), „ღარიბები“ საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში”. ავტორეფერატი ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ქუთაისი, 2025

საქართველოს სიძველენი, (1909), ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. ტ. II, თბ., 1909

სურგულაძე ირ. (2003), მითოსი, კულტი რიტუალი საქართველოში. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003

Сумбадзе Л. 1960, Грузинские дарбази, Тб., 1960;

უზნაძე д. (1949), განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, თბ., 1994

ფუტკარაძე, ტ., შავიანიძე, დ. (2011), „ქართველთა შობა ახალი წელი და მეკვლე“. ქართველური მემკვიდრეობა, ტომი XV. 2011. გვ. 247-267

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. რედ. რ. მეტრეველი. 2011. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=4366

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, https://www.ena.ge/explanatory-online

ქევხიშვილი ალ. ქართული სუფრა ტრანსფორმაციის მომენტში, https://studentresearch.iliauni.edu.ge/qarthuli-suphra-transphormatsiis-protsesshi/

ღლონტი ა. (1974), ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბ., „განათლება“, 1974 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=56&t=57175

ჩიქოვანი თ. (1955),

ჩიქოვანი თ (1967), ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან. თბ., 1967

ჩუბინაშვილი გ (1926-1917), ქართლის დარბაზი, ნაკვ. 1-4. ტფ., 1926-1927;

ჭინჭარაული ნ. საუბრები თემაზე: „დარბაზი“. https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-11-29-22-37-55/164-2014-06-05-09-57-08.html

ჭიაბრიშვილი ნ. (2009), „წარმოსახვის როლი თემის “საოჯახო ეკონომიკა და გენდერი” სწავლებისას“, https://geoeconomics.ge/?p=4095